IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგები

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად, 2020 წლის 20 მაისიდან დაიწყო ფერმერების აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0.25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დიზელის საწვავის შეღავათიან ფასად მიყიდვას. პროგრამის ფარგლებში ფერმერები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, საბაზრო ფასთან შედარებით დაახლოებით 1 ლარით იაფად შეიძენდნენ. საქართველოს მთავრობის გათვლებით, აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამით 200,000-მდე ფერმერი ისარგებლებს და დაახლოებით 40 მილიონი ლარის შეღავათს მიიღებს.

კვლევის მიზანია, პროგრამის ეფექტიანობის შეფასება, მისი ამოქმედებიდან დაახლოებით ნახევარი წლის გასვლის შემდეგ. ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ანტიკრიზისული გეგმით განსაზღვრული პროგრამის შედეგების შესაბამისობა რეალურ მაჩვენებლებთან.

ძირითადი მიგნებები

აგროდიზელის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, გაცემულია 30,854,470 ლიტრი დიზელის საწვავის ფასდაკლების ბარათი, საიდანაც ბენეფიციარებმა **აითვისეს მხოლოდ 10,225,460 ლიტრი (33.1%).**

ყველაზე მაღალი ფასდაკლების შესაძლებლობა ფერმერებისთვის გათვალისწინებული იყო პროგრამის ამოქმედებიდან 10 დღის განმავლობაში და **1 ლარის ნაცვლად, შეადგენდა 74 თეთრს.**

2020 წლის 1 ივნისის შემდეგ, დიზელის საწვავზე გათვალისწინებული ფასდაკლების ოდენობა 25 თეთრიდან 65 თეთრამდე მერყეობს.

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებმა 1 ლარიანი ფასდაკლების ნაცვლად, დიზელი ავტოგასამართ სადგურებზე საშუალოდ **45 თეთრიანი ფასდაკლებით,** ხოლო ნავთობბაზებზე საშუალოდ **55 თეთრიანი ფასდაკლებით** შეისყიდეს.

აგროდიზელის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პერიოდში ფასდაკლების მნიშვნელოვნად განსხვავებული მაჩვენებლები, განპირობებულია პროგრამის მიმწოდებელი კომპანიის შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საბაზრო ფასებსა და სატენდერო ფასებს შორის **არსებული დისბალანსით.**

2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ფერმერების მიერ მიღებული შეღავათი შეადგენს დაახლოებით 4.6 მილიონ ლარს, რაც პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე, **9-ჯერ ჩამოუვარდება მის საბოლოო მიზანს** (40,000 მილიონამდე შეღავათი ფერმერებს).

პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული იყო 200,000-მდე ფერმერის დახმარება, თუმცა შეთავაზებული ფასდაკლებით სარგებლობის ინტერესი პროგრამის I ეტაპზე 80,675 პირმა გამოთქვა, II ეტაპზე 37,156-მა, ხოლო III ეტაპზე (30 ნოემბრამდე) - 6,021-მა.

დასკვნები

- კვლევაში განხილული გარემოებები მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს პროგრამის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

- პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე დამდგარი შედეგები, ერთი მხრივ, პროგრამის **დაგეგმვისა და განხორციელებისას არსებულ პრობლემებზე** მიუთითებს. მეორე მხრივ, აჩენს ეჭვებს ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში პროგრამის მასშტაბებისა და ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებაში **გადაჭარბებული მოლოდინების ხელოვნურად შექმნის მცდელობაზე.**

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მასალა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.